ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 24 07 2015 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის“ რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 02-02/249

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის ვაკანსიების, პროცედურისა და ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-9 მუხლის, „მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2015 წლის 6 ივლისის №471 ბრძანების, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის” მე-19 მუხლის, ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ” ქვეპუნქტისა და უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის (N1/1668, 15.07.2015), ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის (N1/1696, 20.07.2015), ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა (N1/1656, 13.07.2015) სკოლების (ფაკულტეტების) დეკანების მოხსენებითი ბარათების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ვაკანსიები მობილობისთვის 2015-2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სკოლების (ფაკულტეტების) შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად:

ა) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში (ფაკულტეტზე):

ა.ა) სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (პირველი და მე-3 სემესტრები) - 40 ადგილი;

ა.ბ) საერთაშორისო ურთიერთობები და რეგიონალური პროცესების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (პირველი, მე-3 და მე-5 სემესტრები) - 30 ადგილი;

ა.გ) ინგლისური ფილოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (პირველი სემესტრი) - 5 ადგილი.

ბ) ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის სკოლაში (ფაკულტეტზე):

ბ.ა) მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-3 სემესტრი) - 5 ადგილი;

ბ.ბ) ფინანსები და საბანკო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-3 სემესტრი) - 5 ადგილი;

ბ.გ) ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (პირველი სემესტრი) - 1 ადგილი;

ბ.დ) ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-5 სემესტრი) - 1 ადგილი;

გ) ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლაში (ფაკულტეტზე):

გ.ა) მათემატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (პირველი, მე-3 და მე-5 სემესტრები) - 5 ადგილი;

გ.ბ) ინფორმატიკის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (პირველი, მე-3 და მე-5 სემესტრები) - 35 ადგილი;

გ.გ) გამოყენებითი ეკოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (პირველი, მე-3 და მე-5 სემესტრები) - 10 ადგილი;

გ.დ) მათემატიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (პირველი სემესტრი) - 5 ადგილი;

გ.ე) საინფორმაციო ტექნოლოგიები და კომპიუტერული მოდელირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე (პირველი სემესტრი) - 5 ადგილი;

გ.ვ) გეოფიზიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე (მე-3 სემესტრი) - 5 ადგილი;

2. 2015 - 2016 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში მობილობის პროცესის ადმინისტრირებისთვის განისაზღვროს შემდეგი ვადები:

ა) მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2015 წლის 25 აგვისტო - 4 სექტემბერი;

ბ) მენეჯმენტის, აგრეთვე ფინანსები და საბანკო საქმის საბაკალავრო, ბიზნესის ადმინისტრირების (მენეჯმენტი) სამაგისტრო და ბიზნესის ადმინისტრირების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის განხორციელების მსურველთათვის გასაუბრება კრედიტების აღიარების კომისიასთან - 2015 წლის 7 სექტემბერი, 10^{00}სთ.;

გ) კრედიტების აღიარება - 2015 წლის 4 - 7 სექტემბერი;

დ) სტუდენტების ინფორმირება აღიარებული კრედიტების თაობაზე - 2015 წლის 7 - 8 სექტემბერი;

ე) მობილობის ფარგლებში გადმოყვანის წესით ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში - 2015 წლის 9 -10 სექტემბერი.

3. დადგინდეს მობილობის წესით გადმოსვლის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

ა) განცხადება (ივსება ადგილზე);

ბ) სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (სანოტარო წესით/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის/პასპორტის ასლი;

დ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (ვაჟებისთვის);

ე) სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტის (ჩარიცხვის ბრძანება, სტატუსის შეჩერება, აღდგენა და სხვ.) ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული); მაგისტრანტებისათვის - ინფორმაცია საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარებული ტესტის ტიპის შესახებ;

ვ) სტუდენტის სასწავლო ბარათის ასლი ან მისი ამონაწერი (უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული);

ზ) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის (არსებობის შემთხვევაში) ასლი (სანოტარო წესით ან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ დამოწმებული).

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, ინფორმატიკის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს.

5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6);

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე